მოსკოვში მუშაობას განაგრძობს სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. სესიაზე სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი. სესიამ ერთსულოვნად მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს ხალხებისა და პარლამენტებისადმი.



ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გრძელდება საქართველოს დღეები

◆

სურათზე: საქართველოს სსრ დელეგაცია ოლიმპიურ ველოტრეკზე.

საქინფორმის ტელეფოტო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 121 (6932) 25 1981 წ. ივნისი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

მაღალი შეფასებისა და ჯილდოს პასუხად— შემოქმედებითი შრომა, ახალი მიღწევები!

ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრება

როგორც ვიუწყებოდით, 11 ივნისს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ საიუბილეო დღესასწაულზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და მითითებების ცხოვრებაში გატარების ამოცანებს, აგრეთვე, საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას.

აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე **დ. პერტენავა.**

— **საქართველოში** საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი, — თქვა მან, — რომელიც ახლახან თბილისში გაიმართა, საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის, კომუნისტური პარტიის გარშემო მათი მონოლითური შეკავშირების მძლავრ დემონსტრაციად იქცა.

ამ ზეიმს განსაკუთრებულ ელფერს აძლევდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მონაწილეობა. ჩვენთვის, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთათვის, განსაკუთრებით საამაყოა ის მაღალი შეფასება, რომელიც ძვირფასმა სტუმარმა მისცა რესპუბლიკის მიღწევებს, ამასთანავე აღნიშნა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა წარმატება: „ნამდვილი საზეიმო განწყობილება მაშინ იქმნება ხოლმე, — თქვა თბილისში გამართულ ზეიმობაზე ამხანაგმა ბრეჟნევმა, — როცა საქმე კარგად მიდის. ეს კი ყველამ კარგად დავინახეთ და ვიგრძენით საქართველოში. არც თბილისის დინამოელებმა გვიმტყუნეს: მოიპოვეს ევროპის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო პრიზი. ტყუილად როდი ვქომაგობდით მათ".

ამ მაღალი შეფასების პასუხად ჩვენმა ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა გაზრდილი ვალდებულებები აიღეს.

ყოველი ჩვენგანი მზად არის, რომ ზრუნვას კონკრეტული საქმეებით უპასუხოს ახალ ოლიმპიურ ციკლში, ღირსეულად შეასრულოს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები. სპორტული ორგანიზაციები, სპეციალისტები, სპორტსმენები ყველაფერს გააკეთებენ, რათა დღეს მიღებული გარდამავალი წითელი დროშა სამუდამოდ დარჩეს საქართველოში, ისევე როგორც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უკვე მერვე წელია არავის უთმობენ 1973 წელს მოპოვებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას!

მეათე ხუთწლედში საქართველოს სპორტკომიტეტის ცენტრალური აპარატის, ოლქების, ქალაქების, რაიონების სპორტკომიტეტებისა და სხვა სპორტული ორგანიზაციების მუშაობა მიმართული იყო სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომი სრულყოფისკენ, მათი შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებისკენ.

მოთხოვნილობის მუდმივ ზრდასთან ერთად მიმდინარეობდა მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესებისა და სრულყოფის, ფიზიკური კულტურის სოციალური მნიშვნელობისა და ეფექტიანობის ამაღლების, ფორმალიზმის აღკვეთისა და ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერების გზების ძიება.

ხუთწლედის გეგმის ყველა მაჩვენებელი შევასრულეთ ვადამდე. ფართოდ გაიშალა ფიზკულტურული მუშაობა საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და საცხოვრებელ ადგილებში. დღეს უკვე 2 მილიონამდე ადამიანი მონაწილეობს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და მასობრივ-სპორტულ ღონისძიებებში. მასობრივ თანრიგოსანთა რაოდენობა მილიონ 700 ათასს აღწევს.

ამავე დროს გვაქვს ნაკლოვანებები და პრობლემები, განსაკუთრებით მასობრივ-ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში.

სერიოზული ხარვეზები შეიმჩნევა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მუშაობასა და მშთ კომპლექსის დანერგვაში. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ ყველა ორგანიზაციას მოუწოდა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობის საკითხებს: „ჩვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდობის, ჯანმრთელობისა და სილამაზის ბრწყინვალე დღესასწაულის — მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების შთაბეჭდილებების ქვეშ ვიმყოფებით. სასიხარულოა, რომ საბჭოთა ოლიმპიელების წარმატებით გამოსვლაში თავისი წვლილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმაც. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების დონე და მასობრიობა არ გვაკმაყოფილებს. როგორც ჩანს, ამ მხრივ სპორტკომიტეტის საქმიანობა, ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციებისა და საზოგადოებების მუშაობა სერიოზულ გარდაქმნას მოითხოვს. პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ორგანოებმაც სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის საკითხებს.

ეს სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა".

მართლაც, თუ პრინციპული პარტიული პოზიციებიდან მივუდგებით ამ საკითხს, დავრწმუნდებით, რომ ბევრი ფიზკულტურული და სპორტული მუშაკი ჯერ კიდევ არ მუშაობს მთელი დატვირთვით, დროის მოთხოვნის შესაბამისად. ავიღოთ ყველაზე დიდი, ძირითადი პრობლემა — ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის მასობრიობა. „განთიადის", „კოლმეურნეს", „სპარტაკის", „ბურევესტნიკის", „შრომითი რეზერვების", „ლოკომოტივის", „ზენიტის", „ვოდნიკის", „დინამოს" თანამშრომელთა უმრავლესობა, კულტურისა და დასვენების პარკების, სტადიონების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების დირექციები, უამრავი ინსტრუქტორ-მეთოდისტი და საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი, თითქმის 10000-მდე განთავისუფლებული მუშაკი მუშაობს ამ პრობლემებზე, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ მივაღწიეთ ნამდვილ მასობრიობას.

(დასასრული მე-2 გვ.).

26-27 ივნისს

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართება სსრ კავშირისა და გდრ-ის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი

დასაწყისი:

26 ივნისს — 18.30 ს.

27 ივნისს — 17 ს.

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

სსრ კავშირისა და გდრ-ის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩისადმი მიძღვნილი

პრესკონფერენცია

გაიმართება 25 ივნისს 18 საათზე, თბილისის „დინამოს" სტადიონის სპორტის ოსტატთა კლუბში.

მაღალი შეფასებისა და ჯილდოს პასუხად— შემოქმედებითი შრომა, ახალი მიღწევები!

ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრება

დასასრული

ბევრი საკითხის მოსაგვარებელი ბავშვთა სპორტის სფეროში, ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობის სრულყოფის საქმეში. ძირფესვიანად უნდა გარდაიქმნას, აგრეთვე, მუშაობა მშთ კომპლექსის დანერგვის საქმეში. 50 წელია ეს კომპლექსი ემსახურება საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის გაკაჟებისა და პატრიოტული აღზრდის საქმეს. იგი ჩვენი სისტემის ფიზიკური აღზრდის პროგრამული და ნორმატიული საფუძველია, ამიტომ მისი შესაძლებლობის სრულად გამოყენება დიდმნიშვნელოვან ამოცანად მოგვევლინება.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ბევრ ფიზკულტურის კოლექტივსა და სპორტკლუბში დაბალია მუშაობის ხარისხი და ეფექტიანობა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს ფორმალიზმს, თვალისახვევისა და მიწერის შემთხვევებს. ბევრი სპორტული მუშაკი კარგად ვერ ერკვევა კომპლექსის საკითხებში, სუსტად მუშაობს მშთ-ს ნაკრებ გუნდებთან.

სხვა პრობლემათა შორის, რომელიც ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციების მხედველობის არეში მუდმივად უნდა იყოს, არის სპორტული ბაზების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, მათი აღჭურვა შესაფერისი მოწყობილობებით, აგრეთვე თანამედროვე სპორტული ფორმის, ინვენტარის წარმოება ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში, სპორტული ტანსაცმლის 3 ფაბრიკა გვაქვს, მაინც მოუგვარებელია სპორტსმენთათვის, ბავშვთათვის თანამედროვე, კარგი სპორტული ფორმის დამზადების საკითხი.

სკკპ XXVI ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ ყურადღება გაამახვილეს კადრების მომზადების, გადამზადებისა და განაწილების, საიმედო რეზერვის შექმნის საკითხზე. საქართველოს სპორტკომიტეტმა სერიოზული მუშაობა ჩაატარა სპეციალისტების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. ამჟამად სპორტული ორგანიზაციების ყველა მნიშვნელოვან უბანს ხელმძღვანელობენ კომუნისტები, მუშაკთა 90 პროცენტი უმაღლესი განათლებისაა.

ამის მიუხედავად, ვფიქრობთ, რომ კადრებთან მუშაობა მოითხოვს მუდმივ სრულყოფას, განსაკუთრებით მათი შერჩევა, აღზრდა, იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული მომზადება. ნათელია, რომ ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი რეზერვი.

საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს არაერთი წარმატება მოუპოვებიათ, განსაკუთრებით თვალსაჩინოა მიღწევები ბოლო პერიოდში. ყოველივე ეს არის ჩვენი სპეციალისტების, სპორტსმენების, ენთუზიასტების შრომის შედეგი; ეს არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი ბიუროს, სამდივნოს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, პარტიული კომიტეტების, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის ყოველდღიური ზრუნვის შედეგი.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე დასკვნით სიტყვაში ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თქვა: „[illegible] არ არის, რომ საბჭოთა საქართველოს სხვადასხვა ერის წარმომადგენელი, ყველა კომუნისტი, ყველა მშრომელი, რომელიც მონოლითურადაა დარაზმული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს ირგვლივ, რომელსაც სა-

ბრეჟნევი, ღირსეულად შევასრულებთ XI ხუთწლედის დავალებებს, პარტიის დიად მიზანდასახულებებს".

დღეს მთელ რესპუბლიკაში დუღს შემოქმედებითი მუშაობა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელებისთვის. ჩვენი მთავარი ამოცანაა ღირსეულად შევასრულოთ პარტიის მითითებები, საქმით, შემოქმედებითი, დაუღალავი შრომით, მაღალი სპორტული შედეგებით, მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მაღალი მაჩვენებლებით გავახაროთ ჩვენი დიადი ქვეყანა.

• •

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **გ. ლორთქიფანიძემ** თქვა:

— დღეს აქ შევიკრიბეთ საპატიო მოვლენის აღსანიშნავად. ნება მომეცით რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ჩვენი ახალგაზრდობის სახელით მივულოცო ეს დიდი წარმატება ყველა სპორტსმენს, სპორტის მოყვარულს, სპორტის ენთუზიასტს, ყველას, ვინც წვლილი შეიტანა მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების საქმეში.

სპორტი და ახალგაზრდობა, სპორტი და კომკავშირი განუყოფელია. მშთ-ს ახალი სპორტული კომპლექსის შემოღების ინიციატორი შემთხვევით არ ყოფილა კომკავშირი. მას შემდეგ ისინი ერთმანეთის მხარდამხარ მიდიან. და დღეს, როცა ვლაპარაკობთ წარმატებებზე, რომელსაც მიაღწია რესპუბლიკაში მასობრივმა ფიზკულტურულმა მოძრაობამ, შეიძლება ითქვას, რომ ეს რამდენადმე სპორტული და კომკავშირული მუშაკების მჭიდრო თანამეგობრობის შედეგია. ახალგაზრდობის სპორტულ-პატრიოტული აღზრდის მნიშვნელოვანი ამოცანა, ახალგაზრდობის ჩაბმა სპორტში, ფიზიკურად ჯანმრთელ და ძლიერ ცვლაზე ზრუნვა მუდამ იყო და კვლავაც იქნება ჩვენი ყურადღების ცენტრში.

უდავოა, რომ რესპუბლიკაში იზრდება მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობა, მტკიცდება სპორტული ოსტატობა. საწარმო-დაწესებულებების, სასწავლებლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციები საინტერესოდ წარმართავენ ფიზკულტურულ-მასობრივ მუშაობას. მაგრამ სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების გადაწყვეტილებები რესპუბლიკის კომკავშირს ახალ და გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს.

ჩვენი მთავარი ამოცანაა ამოვძირკვოთ მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში არსებული ფორმალიზმი. დაუშვებელია ფორმალიზმთან შეგუება აღზრდის ნებისმიერ სფეროში. მით უმეტეს, იგი მიუღებელია ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში, ერთი სიტყვით, ყველაფერ იმაში, რასაც ჩვენ ფიზკულტურასა და სპორტს ვუწოდებთ.

ტრადიციულ ფორმებთან ერთად, უნდა დავნერგოთ მუშაობის ახალი ფორმები, როგორიცაა თვითმოქმედი სპორტი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, ქალაქგარე ჯანმრთელობის ზონები, ეზოსა და ქუჩის ფეხბურთელთა გუნდების ტურნირები, რესპუბლიკური შეჯიბრებები საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე, სპორტულ და

მხატვრულ ტანვარჯიშში, აკრობატიკაში, ცხენოსნობაში, კალათბურთში, ველოსპორტში; ლაშქრობები საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში და ა. შ. ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში კომკავშირის მონაწილეობა უეჭველად დაგვეხმარება გადავლახოთ ახალი მიჯნები, რესპუბლიკის კომკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბავშვთა და მოზარდთა სპორტის განვითარებას, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლებისა და სახელმოხვეჭილ სპორტსმენთა სახელობის კლუბების მუშაობას. უფრო ფართოდ გაიშლება სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. იგი უნდა გახდეს საბჭოთა სპორტის მომავალი იმედის — იდეურად და ფიზიკურად გამოწრთობილი მოზარდი თაობის კულტურულ-მასობრივი, სამხედრო პატრიოტული აღზრდის მნიშვნელოვანი ცენტრი.

ახალგაზრდობა, სპორტი, აღზრდა. ეს მჭიდროდ დაკავშირებული სიტყვები განსაკუთრებულ შინაარსს ატარებს. 1920 წელს კომკავშირის III ყრილობამ თავის გადაწყვეტილებაში ჩაწერა: „მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საერთო სისტემის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია".

აი რატომაა, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები ცდილობენ აამაღლონ ფიზკულტურისა და სპორტის როლი ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში, რადგან მაღალ სპორტულ შედეგებზე ზრუნვა ეს უპირველეს ყოვლისა სპორტსმენის დიდ შინაგან კულტურაზე ზრუნვაა, რომ ფიზკულტურა და სპორტი პიროვნების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

• •

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც დღეს გადმოგვეცა — თქვა აფხაზეთის ასსრ სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ **დ. ლოგუამ,** — არა მარტო სიამაყისა და მადლიერების გრძნობით გვავსებს, არამედ თითოეულ ჩვენგანს კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

არაერთი სახელოვანი სპორტსმენი აღზარდა აფხაზეთის მადლიანმა მიწამ. განსაკუთრებული სიამაყით ვასახელებთ ვიქტორ სანეევს, საიდა გუნბას, ვიტალი დარასელიას, ვლადიმერ დოროხოვსა და სხვა სპორტსმენებს. წარმატებით გამოდიან საქართველოსა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში: მსოფლიო ჩემპიონები ჭაბუკებში, სამბისტი სერგეი ტერნოვოი, თავისუფალი სტილის მოჭიდავე გია ყურაშვილი, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო და საკავშირო ტურნირების არაერთგზის გამარჯვებული რამზ ხუტაბა და ბევრი სხვა.

X ხუთწლედში რესპუბლიკის მიერ მოპოვებულ წარმატებებში ღირსეული წვლილი შეიტანეს აფხაზეთის სპორტულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

ეშერის, ლესელიძის, გალის სპორტულ ბაზებზე ტრადიციულად ემზადებიან სსრ კავშირისა და რესპუბლიკის ნაკრები გუნდები საკავშირო, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის, ოლიმპიური თამაშებისთვის. მათ შექმნილი აქვთ ყველა პირობა ნაყოფიერი წვრთნისა და შინაარსიანი დასვენებისათვის. ამ საქმეში გარკვეული წვლილი მიუძღვის აფხაზეთის სპორტულ ორგანიზაციებს, რომ-

მლებიც იბრძვიან სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელებისთვის.

• •

აქტივის კრებას საქართველოს მოჭადრაკეების სახელით მიესალმა **ნანა იოსელიანი.**

— ჩვენი საჭადრაკო ტრადიციები საუკუნეებს მოჰყვებოდა, — თქვა მან, — მაგრამ ამ ბრძნულმა თამაშმა საყოველთაო აღიარება მხოლოდ საბჭოთა საქართველოში მოიპოვა. ბოლო ორი ათეული წელია ქალთა მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი ამკობს ქართველ მოჭადრაკე ქალებს: ჯერ ნონა გაფრინდაშვილს, ახლა მაია ჩიბურდანიძეს. შარშან საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომელიც ოთხი ქართველი დიდოსტატისგან შედგებოდა, საჭადრაკო ოლიმპიადის ოქროს მედალი მოიპოვა.

ხშირად გაისმის საყვედურები საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა მისამართით, რასაც, ჩემი აზრით, ისინი არ იმსახურებენ. ამას წინათ მათ შესანიშნავად ითამაშეს მოსკოვში საბჭოთა კავშირის გუნდურ პირველობაზე, სადაც ჩვენმა გუნდმა მესამე ადგილი დაიმსახურა.

საქართველოში ყველა პირობაა შექმნილი ჭადრაკის განვითარება-გავრცელებისათვის. გვაქვს დიდებული ჭადრაკის სასახლე, კლუბები რუსთავში, სამტრედიაში, წყალტუბოში და სხვა რაიონებში. მუშაობს ბავშვთა სპეციალიზებული და ოლიმპიური რეზერვის საჭადრაკო სკოლები. დღეს ჩვენს რესპუბლიკაში მოღვაწეობს 8 საერთაშორისო დიდოსტატი, ოცამდე საერთაშორისო და საბჭოთა კავშირის ოსტატი, მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები.

წარმატებებთან ერთად გვაქვს გარკვეული სიძნელეებიც. შევეხები ზოგიერთ მათგანს: დღეს საგრძნობლად გაიზარდა საჭადრაკო ინფორმაციის მნიშვნელობა. აუცილებელია მოჭადრაკემ დროულად შეიტყოს თეორიული სიახლენი. ჩვენი რესპუბლიკის მრავალრიცხოვან ჭადრაკის მოყვარულ ახალგაზრდას კი არა აქვს ამის შესაძლებლობა, რადგან არა გვაქვს პერიოდული საჭადრაკო გამოცემა მშობლიურ ენაზე მაშინ, როდესაც ასეთი გამოცემები გააჩნიათ ლატვიის, ბელორუსიის, სომხეთის, აზერბაიჯანის და სხვა რესპუბლიკების მოჭადრაკეებს. რესპუბლიკაში იგრძნობა კვალიფიციური მწვრთნელების ნაკლებობა. ჭადრაკის მასობრივი პოპულარიზაცია ბევრადაა დამოკიდებული მწვრთნელების რაოდენობაზე და მათ მუშაობაზე. ამჟამად საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში საშუალო სკოლების დაწყებით კლასებში შემოიღეს ჭადრაკის სწავლება. ჩვენთან ეს სასარგებლო და მეტად საინტერესო წამოწყება ჯერჯერობით ვერ არის მოგვარებული.

• •

— ჩემთვის დიდი პატივია, — თქვა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა, მწერალმა **გ. ფანჯიკიძემ,** — ქართველი მწე-

რლების სახელით მივესალმო ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან სპორტსმენებს და მივულოცო დიდი ჯილდო — საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ეს დიდი ჯილდო ლოგიკური გაგრძელებაა იმ მრავალი ჯილდოსი და დროშისა, რესპუბლიკამ რომ მოიპოვა უკანასკნელი რვა წლის მანძილზე.

ძალზე გაბოროტებული უნდა იყო კაცი, რომ არ დაინახო ის დიდი მიღწევები, რითაც ასე ამაყობს დღეს ქართველი ერი და მთელი რესპუბლიკა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვები — საქართველოში საქმეები კარგად მიდის, ნათელი და პრინციპული შეფასებაა იმ დიდი და გაბედული მუშაობისა, რომელსაც დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ეწევა მისი ლიდერის ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის ხელმძღვანელობით.

მე, როგორც მწერალმა, დიდი მადლიერების გრძნობით მინდა ვთქვა, რომ ასეთი შემოქმედებითი ატმოსფერო, როგორიც ახლა გვაქვს, არასდროს არ გვქონია. დღეს ჩვენ ეჭვის თვალით კი არ გვიყურებენ, როგორც ეს ხდებოდა ათიოდე წლის უკან, არამედ პირიქით, ქართველი მწერლებისაგან მოითხოვენ აქტიურ ჩარევას ყველა მნიშვნელოვან მოვლენაში. დაარსდა ახალი გამოცემები „განთიადი", „კრიტიკა", „საუნჯე", „რიწა", „მართვე", გაიზარდა გაზეთი „ლიტერატურული საქართველო". აი, რას ნიშნავს ზრუნვა საკუთარი ენის დაცვისა და განვითარებისათვის.

შედეგიც ლოგიკურია, უკანასკნელ წლებში ძალზე საგრძნობია ინტერესი ქართული პროზისა და პოეზიისადმი. საერთაშორისო ბაზრებზე უცხოური ფირმები ყიდულობენ სულ უფრო და უფრო მეტი ქართული წიგნის გამოცემის უფლებას.

ყველამ მშვენივრად ვიცით, რა წარმატებას მიაღწია ქართულმა კინომ, ქართულმა თეატრმა, ხელოვნებამ, მუსიკამ, მხატვრობამ.

თვალსაჩინოა ქართული მეცნიერების აყვავება და შემდგომი წინსვლა!

ძალზე დიდი წარმატებაა, უფრო მეტიც დაუჯერებელი წარმატებაა ისეთი პატარა ერისა, ჩვენ რომ ვართ, ათქმევინო ბრეხტის სამშობლოს — ქართველებმა ბრეხტის დადგმა გვასწავლესო; მართლაც რომ ფანტასტიკური წარმატებაა, ათქმევინო შექსპირისა და ფეხბურთის სამშობლოს — ქართველებმა შექსპირის დადგმა გვასწავლეს და თანამედროვე ფეხბურთის გაკვეთილი ჩაგვიტარესო.

სულ ორიოდე დღის წინ ვიზეიმეთ თელავის თეატრის გახსნა. ახალი თეატრის აგება — ეს დიდი მოვლენაა ერის ცხოვრებაში, უფრო მეტიც — იგი საუკუნის ზეიმია. და აი, დღეს კვლავ საზეიმო წუთები გვიდგას. ჩვენ შეგვიძლია სიამოვნებით გადავავლოთ თვალი ქართველ სპორტსმენთა სახელოვან ცხოვრებას, სიამაყით გავიხსენოთ ის დიდი, მსოფლიო მასშტაბის მიღწევები, რითაც ასე ასახელეს არა მარტო ჩვენი რესპუბლიკა, არამედ მთელი საბჭოთა სპორტი.

მე ბედნიერება მქონდა დავსწრებოდი თბილისის დინამოელთა მატჩს როგორც როტერდამში, ასევე დიუსელდორფში. სწორედ იქ, უცხო სტადიონების ტრიბუნებზე ვიგრძენი მთელი სიღრმით პოეტის სიტყვები:

„თქვენი მუხლების ძალაში
არაგვია და ლიახვი,
ფეხბურთი მარტო თამაში
და მარტო ბურთი როდია!
დღეს მთელ მსოფლიოს მოედო
და აღარ არის მალული,
რომ [illegible] მოედნის
[illegible] თქვენი მამული!
წელს გაგვიფანტეთ იჭვები,
ელვარებდით ქარიშხალს,
თქვენ შემოგვილოთ, ბიჭებო,
ყველა პელე და გარინჩა!"

(ზაურ ბოლქვაძე).

[illegible] საყვარელო სპორტსმენებო, გისურვებთ მრავალჯერ [illegible] ჩვენი რესპუბლიკის [illegible] მეგობარი, ამხანაგი [illegible] ამ საპატიო და სასიამოვნო [illegible] შესასრულებლად!

•

— [illegible] კავკასიის წითელდროშოვანი [illegible] სამხედრო ოლქის მე[illegible] სახელით გულითადად ვულოცავთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებას და ვუსურვებთ დიდ წარმატებებს რესპუბლიკის მშრომელთა ფიზიკური აღზრდის კეთილშობილურ საქმეში, — თქვა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის [illegible] მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა **დ. შკრუდნევმა.**

— ფიზიკური კულტურა საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბების, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დაცვისთვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ჩვენ შეიარაღებულ ძალებში [illegible] ძლიერ და გამძლე ჭაბუკებს, რომელთაც შემდეგ ვაწრთობთ ფიზიკურად და მორალურ-ფსიქოლოგიურად. ამიტომ ჩვენ დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ვეწევით რესპუბლიკის ახალგაზრდობასთან [illegible] მომზადების სისტემაში — სკოლაში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და ყველა სახის დაწესებულებაში, რადგანაც ვიცით, რომ არმიაში მისული ჭაბუკი პირველი დღიდანვე ითვისებს ფიზიკურ[illegible] ახალგაზრდა ჯარისკაცი [illegible] რთულ საბრძოლო ტექნიკას წლის, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, მთებში, [illegible] და წყალში, ნებისმიერ [illegible]. კარგად ვიცით, რა მძიმეა მათი შრომა. ამიტომ [illegible] სახელოვანი ახალგა[illegible] აუცილებელია [illegible] წლებიდან და ამ ამო[illegible] კომკავშირუ[illegible] საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით დიდი წარმატე[illegible] თავს რესპუბლიკის ფიზკულტურული მოძრაობის მე-

[illegible] ნათელი დადასტურებაა, საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავის დროს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ მიცემული მაღალი შეფასება, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ახლა გადმოგვეცათ.

• •

— [illegible] კულტურა და სპორტი [illegible] ჯანმრთელობის განმტ[illegible] შრომისუნარიანობისა და [illegible] ზრდის [illegible] მიმაჩნია, — თქვა [illegible] შრომის გმირმა, წითელწყაროს რაიონის [illegible] სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ [illegible] კობაიძემ — ჩვენ-

თან თითქმის ყველა მექანიზატორი, ავტომანქანის მძღოლი სპორტსმენია — მოჭიდავე ან მძლეოსანი. მათ არ იციან რა არის დაღლა, ავადმყოფობა.

თუ ჩვენ რაიმე წარმატება გვაქვს პურისა თუ ყურძნის მოყვანაში, მეცხოველეობაში — ჯანმრთელობის, ძალის, მოხერხებისა და მოწადინების შედეგია.

სწორედ ამ ძალას, მოწადინებას, საქმის სიყვარულს ვეყრდნობით, როცა ვეთავდებით, რომ წელს დაგეგმილი 8000-ის ნაცვლად ჩვენს კოლმეურნეობაში 11000 ტონა ყურძენი მოვიწიოთ და მივაწოდოთ სახელმწიფოს მარცვლეული, ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები.

კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევენ სპორტს. მაშინათვე ვტეხთ განგაშს, როცა კი მისი საწყისი დაბლა იწევს. შარშან ჩვენთან მომზადდა 1 საქართველოს სპორტის ოსტატი ჭიდაობაში, 7 — პირველთანრიგოსანი, 3 — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, სხვადასხვა თანრიგოსნები, გვაქვს საცურაო აუზი, სპორტული მოედნები. დღევანდელი ჯილდო, სპორტისადმი პარტიისა და მთავრობის ესოდენ დიდი ყურადღება გვავალებს უკეთესად მოვაწყოთ ბაზები.

იქნებ დღეს აქ უხერხულიცაა, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ჩვენს რაიონს, წითელწყაროს არა აქვს ხეირიანი სპორტული ბაზა. პროექტი კარგა ხანია არსებობს, თანხაც გამოყოფილია და მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დახმარება გვჭირდება, რომ მომავალი წლიდან მაინც ჩასვან იგი მშენებლობის გეგმაში.

• •

— ოლიმპიური მედალი რომ მშთ-ს ნიშნით იწყება, ეს ყველასათვის ცნობილი ფაქტია, — თქვა თავის გამოსვლაში მშთ-ს კომპლექსის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა **[illegible],** — ამ მხრივ საქართველოშიც კარგი მაგალითები გვაქვს ვლადიმერ სვეტლიკოსა თუ საიდა გუნბას სახით. პირველი ხომ მსოფლიოს რეკორდსმენი იყო, მეორე კი — მოსკოვის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი. ორივე მათგანი დიდ სპორტში სწორედ მშთ-ს კომპლექსის შეჯიბრებებიდან მოვიდა. როგორ არ გავიხსენოთ აქ თავდაცვის სახელოვანი სახკომის კლიმენტ ეფრემის ძე ვოროშილოვის შესანიშნავი სიტყვები. მან ხომ მშთ-ს „ჯანმრთელობის ორდენი" უწოდა. აი რატომ ვამაყობთ ასე ამ გარდამავალი წითელი დროშით, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას მიენიჭა ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის საუკეთესო ორგანიზაციისათვის. ეს კი რესპუბლიკის სპორტული ცხოვრების დიდი წარმატებაა. თუ საქართველოში ყველა — დიდი თუ პატარა — ჩაებმება მასობრივ ფიზკულტურულ მოძრაობაში, იმეცადინებს მშთ-ს კომპლექსში, კოლექტივსა თუ საშინაო პირობებში — მაშინ ჩვენი ფიზკულტურა და სპორტი შეასრულებს თავის დიდ ამოცანას. ჯანსაღი სხეული, ჯანმრთელი ხალხი ჩვენის დიდი სიმდიდრეა, ჩვენი დიდი ძალაა.

• • •

აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ, აგრეთვე, სოციალისტური შრომის გმირი **გ. კურტანიძე,** სპორტის დამსახურებული ოსტატები: **ვ. სანეევი, ნ. დუმბაძე** და **ვ. გოგიელი.**

მ. ი. ბერძენიშვილი

ქართულმა ფეხბურთმა დიდი დანაკლისი განიცადა. მის რიგებს გამოაკლდა ტყავის ბურთის ნამდვილი დიდოსტატი, თბილისის დინამოელთა ძველი თაობის წარმომადგენელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე მიხეილ ირაკლის ძე ბერძენიშვილი.

მ. ბერძენიშვილი დაიბადა 1914 წელს ქ. თბილისში. 1922 წელს იგი შევიდა მე-1 შრომის სკოლაში, რომელიც 1931 წელს დაამთავრა. მოსწავლეობის წლებშივე მ. ბერძენიშვილი გაიტაცა ფეხბურთმა. ამას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ 30-იან წლებში თბილისის გარეუბნელ, კერძოდ კი დიდუბელ ჭაბუკებში მეტად პოპულარული გახდა ეს საყოველთაო თამაში. უბნელები, რომელთა შორის იყვნენ შემდგომში სახელგანთქმული მეკარე ალექსანდრე დოროხოვი, თბილისის დინამოელთა ომამდელი უცვლელი კაპიტანი შოთა შავგულიძე და სხვები, პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე „დინამოს" სტადიონის მუდმივი ბინადარნი იყვნენ.

ნიჭიერმა ჭაბუკმა თავიდანვე მიიპყრო ყურადღება და იგი ნორჩთა გუნდში ჩარიცხეს. 1928 წელსვე მოზარდი ფეხბურთელი მოიწვიეს „დინამოს" მე-4 გუნდში, რომლის სახელით იგი გამოდიოდა 1931 წლამდე. ამ წელს მ. ბერძენიშვილი გადაიყვანეს „დინამოს" მე-2, ორიოდე წლის შემდეგ კი „დინამოს" პირველ გუნდში. მ. ბერძენიშვილი 1935 წლის საქართველოს და ამიერკავკასიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრის მონაწილეა, იმავე წლებში წარმატებით იცავს საბჭოთა სპორტის ღირსებას ფინეთისა და სკანდინავიის ქვეყნებში

ამიერკავკასიის ნაკრები გუნდის ტურნეს დროს. მ. ბერძენიშვილი ქართველ ფეხბურთელთა იმ თაობის წარმომადგენელია, ვინც პირველად გამოვიდა საერთაშორისო სარბიელზე.

ფეხბურთის ძველი თაობის გულშემატკივრებს დღესაც თვალწინ აქვთ დაუვიწყარი სურათი, როცა პენალტების უბადლო ოსტატმა მ. ბერძენიშვილმა თავისი ცნობილი ცრუ დარტყმით როგორ „გააცურა" იუგოსლავიის „პარტიზანის" მეკარე გლაზერი თბილისში. მისმა თამაშმა დიდი მოწონება ჰპოვა აგრეთვე ლეგენდარული ბასკი ფეხბურთელების ტურნეს დროს სსრ კავშირში. მან განსაკუთრებით გაითქვა სახელი როგორც პენალტების უბადლო შემსრულებელმა, მაგრამ არანაკლებ მოწონებას იმსახურებდა მ. ბერძენიშვილის შეხმატკბილებული, კომბინაციური თამაში გუნდის თითოეულ წევრთან, რომელთაც იგი უხვად ამარაგებდა მახვილგონივრული გადაცემებით. მას 1946 წელს მიეკუთვნა სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება.

1947 წელს [illegible] მ. ბერძენიშვილის, როგორც მოთამაშის კარიერა, [illegible] თავის საყვარელ ფეხბურთს იგი [illegible] და მწვრთნელის [illegible] მოჰკიდა ხელი, სათავეში უდგება მშობლიურ გუნდს და ამ თანამდებობაზე 1949 წლამდე დაჰყო. 1950—1955 წლებში იგი თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლაში მუშაობდა და სათანადო ცვლას უმზადებდა ქართულ ფეხბურთს. 1955 წელს მ. ბერძენიშვილი კვლავ მიიწვიეს თბილისის „დინამოში" გუნდის უფროსის თანამდებობაზე. 1957—1958 წლებში იგი კვლავ ახალგაზრდა ფეხბურთელებს ავარჯიშებს „ნორჩი დინამოელის" სკოლაში, შემდეგ გადაჰყავთ თბილისის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლაში, 1961 წლიდან კი სამეურნეო სამუშაოზე გადადის. ჯერ იყო „ბურევესტნიკის" სტადიონის დირექტორის მოადგილე [illegible] დარგში, ერთი წლის შემდეგ გადავიდა „დინამოს" სპორტნაკეთობათა კომბინატში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მსახურობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

უმწიკვლო სამსახურისათვის მ. ბერძენიშვილი დაჯილდოებული იყო მთავრობის მედლებით.

წავიდა ჩვენგან ბრწყინვალე სპორტსმენი და ქართული ფეხბურთის დიდი ამაგდარი, კომუნისტი და ერთგული ამხანაგი, საქმისადმი მომთხოვნი, თავდადებული მუშაკი. ასეთი იყო ჩვენი მიშა, რომლის ხსოვნა მარადჟამს იცოცხლებს მათ შორის, ვისაც კი მასთან რაიმე ურთიერთობა ჰქონდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი,
ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია,
სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო,
თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელები.

გახსენება

მიშა ბერძენიშვილს პირველად 1935 წელს შევხვდი. ჩვენი გაცნობა უშუალოდ მოედანზე მოხდა. ერთმანეთი საქმეში ვნახეთ — თბილისის პირველობის ფინალურ მატჩში, სადაც უძლიერესის სახელს ერთმანეთს ეცილებოდნენ ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტისა და „დინამოს" პირველი გუნდები. მაშინ სტუდენტთა გუნდში ვთამაშობდი და ჩემი ყურადღება პირველივე წუთებიდან მიიპყრო მეტოქეთა გუნდის ტანმაღალმა ფეხბურთელმა, რომელიც სხვებისგან საზრიანი თამაშით გამოირჩეოდა. ეს მიხეილ ბერძენიშვილი გახლდათ. მართალია დინამოელები დავამარცხეთ (4:2), მაგრამ მიშამ დიდი თავსატეხი გაუჩინა ჩვენს მცველებსა და ნახევარმცველებს.

ერთი წლის შემდეგ, როცა „დინამო" საკავშირო სარბიელზე გავიდა, გუნდში მთელი რესპუბლიკის საუკეთესო ძალებს მოუყარეს თავი და, რა თქმა უნდა, უძლიერესთა შორის მიშაც მოხვდა.

მაინც რაში იყო მიხეილ ბერძენიშვილის, როგორც ფეხბურთელის ღირსება? უპირველეს ყოვლისა, იმით გვხიბლავდა, რომ შესანიშნავად „ხედავდა" მოედანს, სწორად და დროულად აფასებდა თამაშის მსვლელობაში წარმოქმნილ სიტუაციებს, ჰქონდა შესანიშნავი, ზუსტი გადაცემა, რომელიც ხელს უწყობდა თანაგუნდელთა წარმატებით თამაშს.

ასე რომ, თუ მოსკოვის გუნდს ჰყავდა „ეშმაკ მელად" ცნობილი მიხეილ იაკუშინი, ჩვენს რიგებში ასეთი მიხეილ ბერძენიშვილი გახლდათ.

ახლა აიღეთ მისი განუმეორებელი პენალტები! მართლაც უბადლო იყო. არ შემიძლია ერთი კურიოზი არ გავიხსენო. „ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო", ხომ გაგიგონიათ, პოდა, სწორედ ასე დაემართა ჩვენს მიშას. ეს ომამდე მოხდა. ჩვენს „დინამოს" საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ჰქონდა კიევში ადგილობრივ თანაკლუბელებთან. თამაში თავიდანვე დაძაბულად წარიმართა და ძალზე ძნელი იყო იმის თქმა, თუ ვის დარჩებოდა გამარჯვება. სწორედ მაშინ, როცა ანგარიში 0:0 იყო, მასპინძლების კარში პენალტი დაინიშნა, იმედის მზერა ყველამ მიშას მივაპყარით. მაგრამ ჰოი, საოცრებავ! — მიშამ ბურთი კარს ააცილა, მეგობრის ამ მარცხმა რაღაცნაირად გაგვაგულისა და „ჯავრი ვიყარეთ" — გავიმარჯვეთ ანგარიშით 3:0.

...და აი, გასახდელში საშხაპედან გამოსულ მიშას გაზეთ „კრასნი სპორტის" კორესპონდენტი შეეგება და ჰკითხა:

— თბილისელი ხართ?

— დიახ, — მიუგო მიშამ.

— მითხარით, რომელმა თქვენგანმა გააფუჭა პენალტი? (მაშინ უნომროებოდ ვთამაშობდით).

— ბერეჟნოიმ! — გადაჭრით მიუგო კორესპონდენტს მიშამ.

და აი, მეორე დღეს გაზეთში მყვირალა სათაურით — „ბერეჟნოი აფუჭებს პენალტს" — გამოქვეყნდა კიეველი კორესპონდენტის ანგარიში ამ მატჩის შესახებ.

ეს რომ ვიქტორმა წაიკითხა, მიშას მივარდა გაცეცხლებული და შესჩივლა — ნახე, როგორ შემლიათო.

— აბა, კაცო, რა ხალხია ეს კორესპონდენტები! კარგად ვერ გაიგებენ ვინაობას და გაზეთში კი დაბეჭდავენ. — მიუგო მიშამ ბერეჟნოის...

ასეთი იყო ჩვენი მიშა — იუმორითა და ხალისით აღსავსე მოედანზე და მის გარეთაც, რაც სიძნელეების გადალახვას გვიადვილებდა ხოლმე მის მეგობრებს.

ბორის პაიჭაძე.

გაიმარჯვა „მერცხალმა"

„ტყავის ბურთის" კლუბის პრიზზე

ვანი. (ტელეფონით, „ლელოს" კორ.). საინტერესოდ მიმდინარეობდა „ტყავის ბურთის" კლუბის ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ფინალური ასპარეზობა უმცროსი ასაკის ბიჭებს შორის (1970-1971 წლებში დაბადებულნი).

გადამწყვეტ მატჩში I ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისის „მერცხალი" და თბილისის „სიხარული". ქუთაისელებმა საუკეთესოდ ითამაშეს, ანგარიშით 2:0 დაამარცხეს მეტოქე და დაეუფლნენ მთავარ პრიზს. ბურთები გაიტანეს გვენცაძემ და ალფაიძემ.

გამარჯვებულთა მწვრთნელები არიან ლ. კვებამძე და რ. მოლაფერიძე, ხოლო თბილისელებისა — თ. მირიანაშვილი და შ. ჰუმბურიძე.

III ადგილისთვის იბრძოდნენ ჭიათურის „მევარდენი" და ვანის „ცისარტყელა". ბრძოლა აქაც შეუპოვარი იყო, წარმატება წილად ხვდათ ჭიათურელებს, რომლებმაც გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 (მწვრთნელი დ. გაბრიჩიძე).

ამჟამად ვანში მიმდინარეობს საშუალო ასაკის ნორჩ ფეხბურთელთა პრიზის გათამაშება.

უმაღლესი ლიგა

გუშინ ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის 44-ე ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და ერევნის „არარატს" შორის.

მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

დანარჩენი გუშინდელი კალენდარული მატჩები უმაღლეს ლიგაში ასე დამთავრდა:

„სპარტაკი" — ცსკა 3:0

„ზენიტი" — „ყუბანი" 0:0

„დინამო" მნ. — „ტავრია" 2:0

„ქაირათი" — „დინამო" კ. 2:2

„ფახთაქორი" — „ჩერნომორეცი" 1:3

ასკ რ. — „დნეპრი" 1:1

„ნეფთჩი" — „შახტიორი" 1:1

●

თბილისის „დინამო"— ტურნირზე ესპანეთში

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა **ა. ჭკუასელმა** საყურადღებო ცნობა მოგვაწოდა: 1-3 სექტემბერს ესპანეთის ერთ-ერთ ქალაქში გაიმართება მეტად საინტერესო საერთაშორისო ტურნირი უძლიერესი კლუბების მონაწილეობით. მასში ითამაშებენ მადრიდის „რეალი", ინგლისის „ლივერპული", ინგლისის „იფსვიჩ თაუნი" და თბილისის „დინამო". ცნობილია, რომ „რეალი" 6-ჯერ იყო ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი, „ლივერპული" — 3-ჯერ, თბილისის „დინამომ" მოიპოვა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი, ხოლო „იფსვიჩ თაუნმა" — უეფა-ს თასი.

ნავარაუდევია, რომ თუ ამ ოთხეულს გამოაკლდება რომელიმე გუნდი, მის ადგილს დაიკავებს ევროპის ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელი— მიუნხენის „ბაიერნი" (გფრ).

უფროსებთან ერთად ესპანეთს გაემგზავრებიან თბილისის ახალგაზრდა დინამოელი ფეხბურთელები, რომლებიც აგრეთვე მიიღებენ მონაწილეობას ჭაბუკთა ტურნირში.

I ლიგა

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში ლანჩხუთის „გურიამ", როგორც ცნობილია, ნიკოპოლში დაამარცხა ადგილობრივი „კოლოსი" — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი თამაშის 81-ე წუთზე გაიტანა კოპალეიშვილმა. დუბლიორთა მატჩი მოიგო „კოლოსმა" — 4:2.

ზაპოროჟიეს „მეტალურგისა" და ქუთაისის „ტორპედოს" დუბლიორთა შეხვედრაში გაიმარჯვეს მეტალურგმა ფეხბურთელებმა — 2:0.

I ლიგის საუკეთესო სნაიპერია კიევის არმიელი ვ. ნასტაშევსკი — 13 ბურთი. 10-10 ბურთი გაიტანეს ნ. ბაჩიაშვილმა („მეტალისტი", ხარკოვი) და ვ. მუხანოვმა („ლოკომოტივი", მოსკოვი), 9-9 — დ. დარჯანიამ („ტორპედო", ქუთაისი) და რ. შარიპოვმა („მეტალურგი", ზაპოროჟიე).

● სანიჩბოსნო სლალომი

ზაჰესთან, ჩქერებში...

მტკვარზე, ზაჰესის მახლობლად, ჩატარდა საკავშირო შეჯიბრება სანიჩბოსნო სლალომში.

ერთი შეხედვით, თითქოს ძნელი წარმოსადგენია მტკვარზე, რომელიც „ნელად მოღელავს", ასეთი სახის ასპარეზობის გამართვა, მაგრამ ზაჰესთან გამოიძებნა დაახლოებით ნახევარი კილომეტრი სიგრძის რკალისებური უბანი მთის მდინარისათვის დამახასიათებელი მრავალრიცხოვანი ბუნებრივი დაბრკოლებებითა და ჩქერებით.

ამ მონაკვეთზე განლაგებული 25 კარი ძნელად გასავლელს ხდიდა ტრასას. ამაზე ნათლად მეტყველებს შეჯიბრების მონაწილეთა მიერ დიდი რაოდენობით მიღებული საჯარიმო ქულებიც.

აღსანიშნავია, რომ სტარტზე გამოსული 100-ზე მეტი სპორტსმენიდან ტრასის „სუფთად" გავლა მხოლოდ ორმა შეძლო.

ბრძოლა პირველობისათვის ძირითადად ლატვიისა და უკრაინის ნიჩბოსნებს შორის მიმდინარეობდა და თითქმის ყველა საპრიზო ადგილიც სწორედ მათ მოიპოვეს.

ერთადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობაში იმარჯვა ა. იაკიმოვმა (უკრაინა). მისმა თანაგუნდელებმა ვ. კოვალიოვმა და ვ. რუდენკომ გაიმარჯვეს ორადგილიანი კანოეთი შეჯიბრებაში. ერთადგილიანი კანოეთი პირველობა არავის დაუთმო ი. სიმონსმა (ლატვია).

ქალთა შორის ბაიდარებით შეჯიბრებაში ტოლი არ ჰყავდა ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს ნიჩბოსანს ი. კურილენკოს (უკრაინა).

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ძალზე სუსტად გამოვიდნენ — მასპინძელთაგან უკეთესი შედეგი ჰქონდა ქ. ჰეიშვილს, რომელმაც ბაიდარით შეჯიბრებაში 26-ე ადგილი დაიკავა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნიჩბოსნები უკანასკნელ, VIII ადგილზე დარჩნენ. პირველობა უკრაინელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. მომდევნო საპრიზო ადგილებზე ლატვიისა და ლენინგრადის გუნდები გავიდნენ.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა **პ. ოქონაშვილმა** გვითხრა:

— ჩვენს ქვეყანაში სანიჩბოსნო სლალომის პირველი ნაბიჯებიდანვე საქართველოს სპორტსმენები მუდამ მოწინავეთა შორის იყვნენ და საკავშირო შეჯიბრებებზე ტრადიციულ მეტოქეებთან, ლატვიისა და უკრაინის წარმომადგენლებთან ბრძოლაში წარმატებებსაც აღწევდნენ, სამწუხაროდ, ბოლო დროს შედეგები მნიშვნელოვნად გაუარესდა. მიზეზი ისაა, რომ ამჟამად რესპუბლიკაში ნაკლები ყურადღება ექცევა სპორტის ამ საინტერესო სახეობის განვითარებას.

მომავალ წელს ქვეყნის I ოფიციალური ჩემპიონატი გაიმართება. ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, დავიბრუნოთ ადრინდელი მოწინავე პოზიციები.

გ. ახალაძე.

• • •

სურათებზე: ზევით — ა. იაკიმოვი. ქვევით — ვ. კოვალიოვი და ვ. რუდენკო.

ავტორის ფოტოები.

მთავარი მსაჯი—მ. ფილიპი

მ. ჩიბურდანიძე — ნ. ალექსანდრიას მატჩის ირგვლივ

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ჭადრაკის სამმართველოს თავკაცმა, დიდოსტატმა და ფსიქოლოგიის პროფესორმა **ნ. კროგიუსმა** ქალთა მსოფლიო პირველობაზე მ. ჩიბურდანიძე—ნ. ალექსანდრიას მატჩთან დაკავშირებით გვაცნობა შემდეგი:

პრაღიდან მიღებულია გამოჩენილი ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატის და არბიტრის მიროსლავ ფილიპის დეპეშა, რომელშიც იგი მადლობით იტყობინება, რომ თანახმაა იყოს მატჩის მთავარი მსაჯი. ფილიპს არბიტრობა მაიამ და ნანამ სთხოვეს. იგი ერთხელ (1975 წელს) უკვე „დირიჟორობდა" მატჩს ქალთა მსოფლიო პირველობაზე, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ ნ. გაფრინდაშვილი და ნ. ალექსანდრია. მატჩის მეორე მსაჯად დიდოსტატმა ქალებმა ცნობილი ესტონელი საერთაშორისო არბიტრი ლ. ვახესაარი მიიწვიეს, მესამე მსაჯზე კი უარი განაცხადეს.

ვიდრე ნ. ალექსანდრია ჰალეში ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრებოდა, მან და მ. ჩიბურდანიძემ, რომელიც ამჟამად მოსკოვის ვაჟთა ღია ჩემპიონატში მონაწილეობს, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ხელი მოაწერეს თავიანთი მატჩის რეგლამენტს. შეგახსენებთ, რომ ორთაბრძოლა დაიწყება 8 სექტემბერს ბორჯომში, სადაც პირველი ნახევარი (8 პარტია) ჩატარდება. მეორე ნახევარს თბილისი უმასპინძლებს.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

ფეხბურთის წესების სადარაჯოზე

ჩვენს რედაქციაში დროდადრო მოდის წერილები, სადაც ფეხბურთის მოყვარულნი თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ თამაშის წესებზე და ხშირად სიახლეებსაც გვთავაზობენ.

სულ ახლახან ყოველკვირეულ გამოშვება „ფუტბოლ-ჰოკეიში" დაიბეჭდა სტატია, რომელიც ეხება ფეხბურთის წესებში სიახლეთა შეტანის საკითხს. ვსარგებლობთ შემთხვევით და გთავაზობთ ზემოხსენებულ წერილს.

ცნობილია, რომ თანამედროვე ფეხბურთში წესების შეცვლის უფლება აქვს მხოლოდ ფიფა-ს საერთაშორისო საბჭოს. იგი წელიწადში მხოლოდ ერთხელ მართავს კონფერენციას და ეს კეთდება შეგნებულად, რათა მაქსიმალურად შეამცირონ ფეხბურთის წესებში ყოველგვარი ცვლილებები.

ფეხბურთის წესების საერთაშორისო საბჭოს ახლანდელი მორიგი კონფერენცია გაიმართა უელსის ქალაქ რუფინში. იუპი-ს სააგენტო იუწყება, რომ წესების შეცვლის ოფიციალური გადაწყვეტილებები საბოლოო რედაქციით ფაქტიურად არ მიუღიათ, მაგრამ ერთი არსებითი ცვლილება ნამდვილად იქნება, სააგენტოს კომენტარში აღნიშნულია, რომ მეკარეებს დღემდე სრული საშუალება აქვთ გააჭიანურონ დრო თამაშის მსვლელობაში, მაგრამ 1982 წლის შემდეგ სხვაგვარად უნდა მოიქცნენ. წესების საერთაშორისო საბჭოს მდივანი ტრევორ მორისი იუწყება, რომ მიღებულია ერთსულოვანი გადაწყვეტილება შეიზღუდოს გოლკიპერის მოქმედებათა თავისუფლება „ოთხი ნაბიჯის" წესის ახლანდელ ინტერპრეტაციაში.

ამჟამად, როგორც ცნობილია, მეკარეს უფლება აქვს ბურთით გადადგას ოთხი ნაბიჯი, შემდეგ დააგდოს ბურთი მინდორზე, გააგოროს იგი საჯარიმო მოედნის ნებისმიერ ადგილზე და კვლავ აიღოს ხელთ. საერთაშორისო საბჭომ მიიღო ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის წინადადება, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: ბურთის დაუფლების შემდეგ მეკარე ვალდებულია მოიშოროს იგი, ამასთან გააკეთოს მაქსიმუმ 4 ნაბიჯი ნებისმიერ მხარეს. ბურთის გორება და ეგრეთ წოდებული მეკარის დრიბლინგი უნდა აიკრძალოს.

ტ. მორისმა პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ წარმოიქმნა ამ წესის ზუსტი სიტყვიერი ფორმულირების სიძნელე. ახალი ფორმულირება დაზუსტდება და დამტკიცდება 1982 წლის ივლისში მადრიდის კონფერენციაზე, რომელიც გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის შემდეგ. ახალმა ფორმულირებამ უნდა დააჩქაროს ბურთის შეყვანა თამაშში, იგი გამორიცხავს დროის გაჭიანურების შესაძლებლობას.

ამას გარდა, ბელგიასა და ჰოლანდიაში მოახდინეს ექსპერიმენტები მინდვრის დამატებითი დახაზულობის შესასწავლად. კუთხური დროშიდან 9 მეტრის დაცილებით გაკეთდა დამატებითი ხაზი, ოღონდ კარის ხაზს გარეთ. მისი მიზანია კუთხურის მოწოდებისას ზუსტი ორიენტაცია ჰქონდეთ არბიტრსაც და მოთამაშეებსაც.

ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალური შეკითხვით მიმართა ფიფა-ს სამსაჯო კომიტეტს — ლეგალურია თუ არა ეს ახალი დახაზულობა?

— დახაზულობა მინდვრის გარეთ ლეგალურია, — წერია ფიფა-ს სამსაჯო კომიტეტის პასუხში, — მაგრამ თვით მინდვრის ფარგლებში რამე დამატებითი ხაზის გავლება აკრძალულია. არბიტრი ვალდებულია აკრძალოს ყოველგვარი სხვაგვარი ხაზები, რომლებიც წესებით არაა განსაზღვრული.

● შაში

დიდოსტატის სეანსი სამტრედიაში

სამტრედიის „კოლმეურნის" რაისაბჭოსა და პიონერთა სახლის თაოსნობით ამას წინათ პიონერთა სახლში ჩატარდა შაშის მიმოწერით თამაში მსოფლიო ჩემპიონისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონის, დიდოსტატ ვ. აგაფანოვის (მოსკოვი) ერთდროული თამაშის სეანსი 12 დაფაზე.

დიდოსტატმა 8 პარტია მოიგო და ოთხი ყაიმით დაამთავრა. ყაიმს მიაღწიეს მაია კახაძემ, თამარ გრიგოლიამ, შორენა ბოლქვაძემ და რ. ეგიკიანმა.

ჯ. ვაშაკიძე.

„სპორტლოტო"

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" 25-ე ტირაჟებისა, რომლებიც 20 ივნისს შედგა.

„სპორტლოტო 6 49"-დან: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (23 ბარათი) მოგება 2165 მანეთია, ოთხისთვის (1284 ბარათი) — 37, სამისთვის (21541 ბარათი) — 3.

„სპორტლოტო 5 36"-დან: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (3 ბარათი) — მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (1202 ბარათი) — 214, სამისთვის (47161 ბარათი) — 9.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 1 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით.

„ლელოს" მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 26 ივნისს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, კოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 08024